ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01241702572**
გაცემის თარიღი: **18/06/2024**

**ადრესატი:** ვალერი მიმინოშვილი
**პირადი ნომერი:** 01015001043
**მისამართი:** თბილისი ვ.გორგასალის IV შეს. N 9

2024 წლის 8 ივნისის № 012416083 -16 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, არჩილ მეფის ქუჩა, N 3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.058) საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შეთანხმებას, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო შეითანხმებს შესაბამისი სტანდარტების დაცვით შედგენილ და წარმოდგენილ სატრანსპორტო საშუალებების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემას.

საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემაში (დასრულებული ვარიანტი) შესატანია შემდეგი ცვლილება: მიწისზედა პარკირების რაოდენობა განისაზღვროს არქიტექტურის სამსახურში შეთანხმებული გენგეგმის შესაბამისად (AR1794031).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

იმავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

დოკუმენტაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 15 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, თქვენი 2024 წლის 8 ივნისის № 012416083 -16 განცხადება დარჩება განუხილველი.

გადაწყვეტილების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია ამ გადაწყვეტილების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ჟ. შარტავას ქუჩა N7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**პატივისცემით,**

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი



გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი